2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ლოძის უნივერსიტეტში მობილობისთვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ლოძის უნივერსიტეტში მობილობისთვის კანდიდატების შერჩევა 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი შეირჩევა სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (outgoingmobility@tsu.ge). სტიპენდიატს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატის შერჩევა
კანდიდატის შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)
2. მოტივაცია
3. მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრა
4. ზეპირი პრეზენტაცია

4. კომისიის შეფასება
ა)აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა გამოითვლება სტუდენტის GPA-ის 10-ზე გამრავლებით; მაქსიმალური შესაძლო ქულა: 40 (4×10);
ბ)კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის, მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას;
გ)კანდიდატის მოტივაციის, მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს ენიჭებათ დამატებით 1 ქულა.

5. კანდიდატის გამოვლენა
კანდიდატის გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და ლოძის უნივერსიტეტის საბოლოო შერჩევის საფუძველზე საფუძველზე.